ელენ, ელენ!

„ყველა ტკივილი იძინებს ბოლოს“

(ოთარ ჭილაძე)

***

ღამეა. მთებში ჩაკარგულ პატარა სოფელში ხის სახლებს ნება-ნება ეფინება იანვრის თოვლი. ირგვლივ გამეფებულ მდუმარებას მხოლოდ მდინარის ხმა და ქალის უცაბედი შეკივლება არღვევს. ოჯახში მეცამეტე შვილად ელენი იბადება. სევდა და სიხარული ერთადაა ელენის სახლში. იმ წელს მეოთხე ძმა წაართვა ომმა. რომ გაიზრდება, მერე გაიგებს ადამიანთა ვერდაბრუნების მწარე გემოს. მაგრამ მანამდე, სევდის გვერდით სიხარულის ადგილია ნახევარ სახლში, დედის ტკივილებში კი სიცოცხლის გაგრძელების მისტერია...

***

ზურგზე უზარმაზარი ხურჯინი ჰკიდია და მუხლამდე თოვლში სრულიად სველი მეცხრეკლასელი გოგონა მიაბიჯებს. სახეში თებერვლის ცივი ქარი შეუბრალებლად ურტყამს შოლტებს და ძლივსგამოჟონილ ცრემლებს წამწამებზე უყინავს. აღარ იცის, რომელს გაუძლოს: სიცივეს, დედის გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილსა თუ ხურჯინის სიმძიმეს. მიდის, მიაბიჯებს და გულში სევდიანად იმეორებს უფროს ძმასთან ერთად ნასწავლ გაკვეთილს: „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე...“ შეჩერების დრო არ აქვს, დაღამებამდე სახლში მისვლა უნდა მოასწროს, სიბნელე კარგი მეგობარი ვერ არის. როგორც იქნა, აღწევს დანიშნულების ადგილამდე და ხურჯინს ნახევარ ტომარა სიმინდის ფქვილში ცვლის. სველი ტანსაცმელი სიცივეს ვერ აკავებს და დამზრალი სხეულით ჯიუტად მიაქვს ახალი ტვირთი სახლისაკენ. ზღურბლთან ნაავადარი მამა ხვდება, ტომარას ართმევს და მარანში შეაქვს. იქიდან თიხის ნახევარლიტრიანით წითელი ღვინო გამოაქვს, მშიერ და გალურჯებულ შვილს მაგიდაზე უდგამს:

– დალიე, ელენ, მოგიხდება დაღლილს!

უსიტყვოდ ემორჩილება მამას, კეცის მჭადს კბეჩს და მათრობელა სითხეს სულმოუთქმელად ცლის.

– კარგია, მამა!

ნელ-ნელა ჟრჟოლა უვლის ტანში, კიდურები უმძიმდება და გასავათებულს ხის საწოლისკენ მიაქვს ჯერ ისევ გაყინული სხეული. წვება და კვლავ გაკვეთილი უტრიალებს ღვინოშეპარულ ფიქრებში: „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია... გზა სიზმარია... გზა სიზმარია...“

***

მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აუკრძალა ექიმმა - ოთხჯერ მუცელმოშლილს ეგ არ უნდა გეცვასო. სამსახურიდან სახლში მიმავალი ქალაქის ხიდზე მიაბიჯებს ყავისფერ კაბასა და დაბალძირიან ფეხსაცმელში გამოწყობილი. ხიდის ბოლოში ერთადერთი ნათურა საცოდავად ბჟუტავს. სიბნელის შიში ჩასდგომია ელენს სხეულში. ელექტრომემონტაჟე ქმრის სიტყვები

ახსენდება: ამ ნათურებს მალე სულ სხვა განათება შეცვლის, ეს ათასჭირნახული დედამიწაც ნაკლებ ენერგიას დახარჯავს, ჩვენი ხიდები და გზები ისე გაჩახჩახდება, შენს შიშებსაც კი გაანათებენო... ახსენდება და ეღიმება, უნებლიეთ უკან იხედება და ღიმილი უმალ უქრება. ხიდის თავში ორსული ქალის ლანდი ჩანს, თეთრი ზეწარი კოჭებამდე დასთრევს და თმაგაშლილი სივრცეს გაჰყურებს. ელენი თვალებს ხუჭავს და ხიდის შუაწელზე გაშეშებულს კივილი ყელში ეჭედება. სახეზე ხელებს იფარებს და ნაბიჯის გადადგმა ვერ მოუხერხებია. ნელ-ნელა ბედავს და თვალს სიბნელეს უსწორებს. სწრაფად მიუყვება გზას და ცდილობს გაექცეს გამქრალი ქალის ლანდს. მიდის, მიდის ფეხაჩქარებით, გული გამალებით უცემს და მხოლოდ მბჟუტავ სინათლეზე ფიქრობს: „მალე... მალე... განათებები... ჩემს შიშებსაც გაანათებენ.“

***

პირველი შვილის მოლოდინში პალატაში წევს და ტკივილით გათანგული შეჰყურებს თეთრ კედლებს. არსადაა საშველი, არც გამაყუჩებელი და წარსულის ყველა ვერაგი ლანდი ერთად ესხმის თავს. ექიმების ხმასა და სახეებს ზმანებებისგან ვეღარ არჩევს. ჭერზე ნათურები ბუნდოვნად ჩანან, სინათლე ძირს დაქცეული თეთრი საღებავივით გადღაბნილა, ოფლით დაცვარულ მრგვალ, ლამაზ სახეზე ტანჯვა აღბეჭდვია, ძალაგამოცლილი ყრუდ კვნესის და აღარ ესმის ბებიაქალის ჯალათური ტონი: „რა იყო ქალო, ვის არ უმშობიარია!“ცოტა ხანში თითქოს ვიღაცას ერთბაშად მიაქვს ყველა ზმანება და ტკივილი. გონებას კარგავს...

– აბა შვილს როგორ მიხედავს, ვერავის გვცნობს, მე სად შემიძლია თოთო ბავშვის მოვლა! -

ცხარობს დედამთილი. გუნებაამღვრეული და ფიქრით დაღლილი ქმარი ბოლთას სცემს, მერე მაგიდასთან მიდის, მუშტს ძლიერად ურტყამს და ყვირის:

– ჩუმად! მომეცით იმ ექიმბაშის მისამართი!

და ზემო სოფლიდან ცნობაწართმეული ცოლისთვის ყოველ კვირას ჩამოაქვს „სიგიჟის წამალი“. არ შველის, ვერ შველის...

– უნდა დავაწვინოთ, ყველასთვის ასე ჯობია, იქ კარგად მიხედავენ...

და გონს მოსული ელენი კაშკაშა ნათურებს ხედავს ფსიქიატრიულის ჭერზე. გონებაში მხოლოდ ქმრის მომღიმარი სახე ტივტივდება. „ახალი ნათურები...შენს შიშებსაც... შიშებს... გაანათ...“

***

ორსართულიანი სახლის კოხტა ეზოში პატარა ღუმელი დგას. ღუმელზე ლობიო თუხთუხებს. იქვე ახლოს, ქვის კედელზე მიმდგარ მაგიდასთან, ელენი მჭადის ცომს ჩაჰკირკიტებს და ჩურჩულებს: „გამაჯერე ზელითაო, გაგაჯერებ ქებითაო!“ 13 წლის სოფიო ღუმელთან მიმჯდარა, ცეცხლს ვაზის წალამს უმატებს და ჯერ არ იცის, რომ ვაზის ნასხლავი ენერგიის განახლებადი წყაროა, რომ 20 წელიწადში შეშის ღუმელს წალამზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემა შეცვლის. ამდენი ჯერ არ იცის...

ელენი რკინის კეცზე დაკრულ მჭადზე ხელით ჯვარს სვამს და შვილიშვილს აჩვენებს:

– პაპაშენს ასეთი უყვარდა, - მონდომებით აგდებს კეცს ღუმლის უკანა ჯიბეში და

სახეაწითლებული წელში სწორდება. შავი სამოსი ყელ-კისერთან გახუნებია, სრულიად თეთრ თმაზე ლურჯი თავშალი შემოუკრავს. სადილზე ადესის ღვინო გამოაქვს, ერთ ჭიქას შვილიშვილს უსხამს და მხიარულად ჯდება მაგიდასთან. ხელებზე ოთხად გადამტვრეული მჭადის სურნელი ასდის. შვილიშვილის იქ ყოფნით ბედნიერს სახიდან ღიმილი მაშინაც არ შორდება, როცა მეორმოცედ ჰყვება საკუთარ თავზე კალოს ლეწვის ამბავს:

– არ მიმიხედა დედამთილმა. პაპაშენი ჭკვიანი კაცი იყო, თავის ძმას გააზრდევინა ბიძაშენი.

იმას უშვილო ცოლი ჰყავდა. ჭორაობდნენ, პირველი შვილი გააშვილაო. რა უნდა ექნა, მე სამი თვე ვიწექი. მერე? დედაშენი რო მეყოლა, ქირით ვცხოვრობდით. ოცდასამი წელი მასწავლებლად ვიმუშავე. სიბნელისა სულ მეშინოდა... ამ ორ სართულს რომ ხედავ, ყველაფერი ჩვენი ხელით ავაშენეთ...

შვილიშვილი ხელებზე უყურებს და მის მოგონებებში პაპასთან დაკავშირებული ერთი სურათი ცოცხლდება: ჭადრის კუნძები ურიკაზე აწყვია, 6 წლის სოფიო კუნძებზე დასკუპულა და პატარა ხელები ჭადრის ფოთლების სუნით აქვს გაჟღენთილი. ზურგსუკან პაპის მხიარული შეძახილი ესმის: „დავგაზოთ, პაპა, დავგაზოთ!“ ვიწრო ბილიკზე მოარბენინებს ხმელ-ხმელი კაცი ურიკას...

– წინდის ქსოვა უნდა გასწავლო, - ესმის ბებიის ხმა და მაგიდის ალაგებას იწყებს. ფიქრებით ისევ

პაპას უბრუნდება, ხის დაბალ, მწვანე ღობეს გაჰყურებს და თვალწინ მეორე სურათი ეხატება: ქუჩას ნასვამი პაპა მოუყვება, ვიწრო ჭიშკარზე სამუშაო იარაღს აბრახუნებს, პატარა სოფიო კარისკენ გარბის და პაპას მუხლებზე ეხვევა. დაბალჭერიან ოთახში პაპა ჩექმებს იხდის და სოფიოს მისამართით ამბობს: „Non scholae, sed vitae discimus! უნდა ისწავლო პაპა, უნდა ისწავლო, მხოლოდ ასე თუ უშველის ადამიანი საკუთარ თავსა და ქვეყანას!“

ზაფხულის არდადეგები იწურება და მოწყენილი ელენი შვილიშვილს დედ-მამასთან აცილებს. სახლში დაბრუნებულს საქსოვი ჩხირები ელოდება. მოქნილად გამოჰყავს თითოეული თვალი და მწვანე წინდას წითელი ზოლი ემატება. იქვე, ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე დევს უფროსი ძმის ნაჩუქარი „Cran Aux fleurs artistiques“ . ქსოვის დამთავრების შემდეგ სიძველისგან ყდაშემოცლილ წიგნს სათუთად იღებს და უკვე კარგად ნაცნობ სიტყვებს ჩაჰყურებს: „მიჰქრის დალალგადაყრილი: დოვინ, დოვენ, დოვლი...“ და იმ საღამოს, პირველიდან მეორე სართულზე ააქვს მომცრო ტანი და ქანცგაცლილი მარტოობა...

***

პატარა ქალაქის უფასო სასადილოში ორი მოხუცი ცხელ წვნიანს ელოდება. ფანჯარასთან ახლოს მაგიდას მისხდომიან და საუბრობენ. ერთს ჭრელი საზაფხულო კაბა ჩაუცვამს, მეორეს - შავი, გრძელსახელოიანი. ორივეს ღიმილი დასთამაშებს სახეზე. შვილიშვილებზე საუბრობენ:

– ევროპაში გაუშვეს სასწავლებლად. მზის ელექტროსადგური უნდა ავაშენოო, ამბობს! გაგიგონია?

[1] ლათინური სენტენცია - **„ვსწავლობთ არა სკოლისთვის, არამედ ცხოვრებისთვის!“**

[1] **„თავის ქალა არტისტული ყვავილებით“**, გალაკტიონის საუკეთესო კრებული.

რა თაობა მოდის! იქნებ ეგენი მაინც გამოადგნენ ამ გაძვალტყავებულ ქვეყანას, - ამბობს ჭრელკაბიანი ნეჟნა და ახალმოტანილ ცრუწვნიანში პურის ქერქს ალბობს.

– ჩემები სოფელში არიან, საღამოს სოფიო ჩამომივა და ხვალ შენთან ამოვიყვან, პიანინოზე

დაუკრავს, - პასუხობს შავკაბიანი და წვნიანის ხვრეპას იწყებს. ცოტა ხნის შემდეგ, სახლისკენ მიმავალი ვიწრო ტროტუარს მდუმარედ მიუყვება, შვილიშვილზე ფიქრობს და საღამოს გეგმებს აწყობს: „სტაფილოს კონსერვი სამი ქილა დამრჩა და იმას გავუხსნი, მჭადის ფქვილიც კიდევ მაქვს...“

– ნუ დადიხარ ბებო იქ რა, ეგრე არ გიჭირს, - სთხოვს შვილიშვილი ძილის წინ და შუბლს უკოცნის.

– ვერთობი, შვილო. თან პენსიას ვზოგავ. ამ გაჯიანი კედლების გარემონტება აღარ დასცალდა

პაპაშენს. სარემონტო სახლიდან უნდა გამასვენონ? - ეღიმება, - ეზოში ის ნათურა ჩართული დატოვე? ეე, ომის დრო რო იყო, ცეცხლსაც ვერ ვანთებდით, არ დაგვბომბონო. მიდი, ჩაირბინე, აანთე, ეგ ნათურები ბიძაშენმა მომიტანა, მითხრა, ცოტას დაგიწერს, ენერგოეფექტურიაო - კედლისკენ ბრუნდება და ცოტა ხანში სიმღერას იწყებს:

„რერო, რერო,

სულ არ მოვალ ამ მხარეში, რეროო,

შენ რომ არ მეგულებოდე, რეროოო...“

***

ცივა. ორსართულიანი სახლის ყველა კარი ფართოდ გაუღიათ. ეზოში თავჩახრილი კაცები დგანან. ყვავილებით მოურთავთ პატარა აივანი. მეორე სართულზე, ვარდისფერშპალერიან ოთახში კუბოსთან რამდენიმე ქალი მიმჯდარა.

– დილით ჩვეულებრივ მოვედი, წნევა უნდა გამეზომა და მეჭმია, დავუძახე და ხმა არ გამცა. ისე

იწვა, თითქოს სძინავსო, - ამბობს შუახნის ქალი.

– საწყალი მაგისი გოგო, ვერ ჩამოდის, რა უნდა ქნას, ისიც ოჯახის სარჩენადაა წასული, ვის უხარია

ემიგრანტობა. შვილი რო დედას ვერ იტირებს, ცხოვრებაა? ეეჰ, ელენ, ელენ! - ოხრავს მეზობელი და ავეჯზე თეთრ ზეწრებს აფარებს.

სახლის უკან პატარა საქათმეში სამიოდე ვარია უღიმღამოდ კენკავს სიმინდს. ცაზე ნისლი ზანტად გაწოლილა. ეზოში მდგარი შუახნის კაცი მდუმარე სახით ისმენს სამძიმრებს. კუბოში მწოლარე ელენის სახეს სიმშვიდე დაჰფენია. აღარ აშფოთებს აღარცერთი ვერაგი ლანდი. ვერდაბრუნების მწარე გემოც სადღაც გამქრალა. სადღაც შორეთში გაიხსენებს მეცხრე კლასში ნასწავლ გაკვეთილს. ან გახსენება რაღაც უნდა, ცხადზე ცხადია, რომ „ცხოვრების გზა სიზმარია“, მხოლოდ სიზმარი... და რომ სამ დღეში სახლს სამუდამოდ დატოვებენ ელენი და მისი ქანცგაცლილი მარტოობა...